

**თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი
№1**

ქ. ქუთაისი

5 აპრილი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- | | |
|---------------------|---|
| ამირან მოწენიძე | – ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე. |
| ანდრო მაღლაკელიძე | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი. |
| ლევან ჭანჭალეიშვილი | – ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ვასილ მებურიშვილი | – ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი. |

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში კახიანოურის ტერიტორიული ორგანოს შიდა კვარტალური ქუჩების 8 სმ-იანი დაწნეხილი ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ანდრო მაღლაკელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში კახიანოურის ტერიტორიული ორგანოს შიდა კვარტალური ქუჩების 8 სმ-იანი დაწნეხილი ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – ამირან მოწენიძე. კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში კახიანოურის ტერიტორიული ორგანოს შიდა კვარტალური ქუჩების 8 სმ-იანი დაწნეხილი ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 11 აპრილს 12:30 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 11 აპრილის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე-3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:



ამირან მოწენიძე

კომისიის წევრები:

ანდრო მალლაკელიძე

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

